სანოტარო აქტი
საქართველო

ორი ათას ოცდასამი წლის ოცდაორ დეკემბერს მე, ნოტარიუსს ლალი ჯანუყაშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, დიდი დიღომი, მესამე მიკრო/რაიონი, მირიან მეფის გამზირი 84-ის მიმდებარედ, მომმართა შპს სანთომი დიღომის (თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B18205068, 11/12/2018, საიდ. კოდი: 405305799) დირექტორმა აკაკი ჩივაძემ(შემდგომში "მიმნდობი"), რომელმაც განაცხადა, რომ სურს, მინდობილობა შედგენა და მისი დამოწმდეს სანოტარო წესით.

მე დავადგინე მისი პირადობა და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად აკაკი ჩივაძემ (დაბ.21.10.1990წ., პ/ნ 31001048069, რეგისტრირებული მცხეთა ს. ძეგვი მე–20 ქ. N 8) მომმართა.

მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს. დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, გარიგების შინაარსი და შემდეგ შევადგინე მინდობილობის პროექტი, მიმნდობმა წაიკითხა მინდობილობა და მკაფიოდ და ნათლად განაცხადა, რომ წინამდებარე მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას, რის შემდგომ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

შპს სანთომი დიღომის ( საიდ. კოდი: 405305799) დირექტორი აკაკი ჩივაძე, შემდეგში `მიმნდობი" ირაკლი მაზიაშვილს(დაბ.01.05.1986წ., პ/ნ01024037393, რეგისტრირებული ქალაქი თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, N 15, ბინა 16)შემდეგში `მინდობილს~, ვანიჭებ შემდეგ უფლებამოსილებებს:

უძრავ ქონებასთა ს/კ01.10.08.006.604 დაკავშირებით იყოს ჩემი წარმომადგენელ ნებისმიერ სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებაში, მერიაში, მერიის არქიტექტურის, მუნიციპალური ინსპექციის სამსახურში,, ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში, ასევე მერიის ნებისმიერ სამსახურში ჩააბაროს და მიიღოს ნებისმიერი დოკუმენტაცია ყველა პირისაგან, დაწესებულებისაგან, წარადგინოს პროექტი შესათანხმებლად, შეიტანოს პროექტში ცვლილება-კორექტირება, განაახლოს პროექტი, აღადგინოს, გააგრძელოს ვადა, ჩააბაროს, მიიღოს ყოველგვარი ნებართვა, მათ შორის მშენებლობის ნებართვა, შეიტანოს ყოველგვარი განცხადება და წარადგინოს ყველა საჭირო ცნობა, მოწმობა და სხვა დოკუმენტი, გადაიხადოს კანონით გათვალისწინებული გადასახადები, ჩემს მაგივრად მოაწეროს ხელი ყველა საჭირო დოკუმენტებს და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც საჭირო გახდება აღნიშნული დავალებების შესასრულებლად.

მინდობილობა გაცემულია ხუთი წლის ვადით.

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია 3 (სამ) თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ლ. ჯანუყაშვილის სანოტარო ბიუროს არქივში. დანარჩენი გადაეცათ მხარეებს. წინამდებარე მინდობილობა წავუკითხე მე, ნოტარიუსმა ლალი ჯანუყაშვილმა, მიმნდობმა მოიწონა მინდობილობა და პირადად ჩემი თანდასწრებით მოაწერა ხელი მას.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური 30.0 ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის #507 დადგენილებით დამტკიცებული „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების" 31-ე მუხლის მე-8 პუნქტისა, აგრეთვე ხუთი ლარი, თანახმად ზემოაღნიშნული დადგენილების 39-ე მუხლის I პუნქტისა

მიმნდობი _____

ნოტარიუსი: _____ ლალი ჯანუყაშვილი

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

62423230304423

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

**იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება**

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

**N231750132**

რეგისტრაციის თარიღი

**22.12.2023 წ**


ნოტარიუსი: ლალი ჯანუყაშვილი

მისამართი: თბილისი, დიდი დიღომი, მირიან მეფის ქ. 53ა, II სართული

ტელეფონი: 595477133



სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18